სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

11 მაისი 2024

N 115

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის - „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ - ფარგლებში ფილმების პროექტების დაფინანსების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურსის - „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ - გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 26 მარტის №44 ბრძანების, „კონკურსის - „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 16 აპრილის №81 ბრძანებისა და „კონკურსის - „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ - მეორე ეტაპზე გადასული პროექტების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 4 მაისის №111 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის 2024 წლის 10 მაისის დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) დირექტორის 2024 წლის 26 მარტის ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ - ფარგლებში დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

ა) **„აბდაუბდა“** (სამუშაო სათაური - „ცირკი“) - პროდიუსერი ა(ა)იპ „ცისფერი მთები“ (ს/ნ 405135447), რეჟისორი ელდარ შენგელაია; დაფინანსდეს 19 515,31 (ცხრამეტი ათას ხუთას თხუთმეტი ლარი და ოცდათერთმეტი თეთრი) ლარით.

ბ) **„წყლების მაღაზია/ერთი წვეთი“** - პროდიუსერი შპს „სტუდია-99“ (ს/ნ 203854187), რეჟისორი შტეფან ტოლცი; დაფინანსდეს 240 440,43 (ორას ორმოცი ათას ოთხას ორმოცი ლარი და ორმოცდასამი თეთრი) ლარით.

გ) **„ალტერნატივები“** - პროდიუსერი ი/მ ზვიად ციკოლია (პ/ნ 62002000788), რეჟისორი ზვიად ციკოლია; დაფინანსდეს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით.

დ) **„უსიერ ტევრში”** - პროდიუსერი შპს „სინეტექი“, ზურაბ მაღალაშვილი (ს/ნ 204506800), რეჟისორი ნინო ახვლედიანი; დაფინანსდეს 155 842,60 (ას ორმოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაორი ლარი და სამოცი თეთრი) ლარით.

ე) **„თითქოს აქ არასდროს ყოფილხარ“** - პროდიუსერი შპს „20 სტეპს ინთერნეიშენალი“ (ს/ნ 405453566), რეჟისორი ეტი ციკო; დაფინანსდეს 115 000,00 (ას თხუთმეტი ათასი) ლარით.

2. ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პროდიუსერი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოცემიდან ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს „ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის - ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე ძალას კარგავს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი